



დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის  
2022 წლის 25 მარტის №148 დადგენილებით

### დანართი №3

#### გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით შესაბამისი ტექნიკური დავალების შექმნის, სისტემური და ბიზნეს პროცესების ანალიზის გაწევის მომსახურების პირობები და საფასურის ოდენობები

**მუხლი 1.** გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით შესაბამისი ტექნიკური დავალების შექმნის/სისტემური და ბიზნეს პროცესების ანალიზის გაწევის მომსახურების საფასურის ოდენობები და მათი დაანგარიშების წესი

1. გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით შესაბამისი ტექნიკური დავალების შექმნის/სისტემური და ბიზნეს პროცესების ანალიზის გაწევის მომსახურების საფასურის ოდენობები:

მომსახურების დასახელება	მომსახურების საფასური დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით შესაბამისი ტექნიკური დავალების შექმნა, სისტემური და ბიზნეს პროცესების ანალიზის გაწევა	X

2. მომსახურების საფასური X გამოითვლება შემდეგი წესით: მომსახურების გაწევისათვის საჭირო კაც-საათების ოდენობა მრავლდება 1 კაც-საათის საფასურზე, აქედან 1 კაც-საათის ღირებულება შეადგენს 37.00 (ოცდაჩვიდმეტი) ლარს.

**მუხლი 2.** გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით შესაბამისი ტექნიკური დავალების შექმნის, სისტემური და ბიზნეს პროცესების ანალიზის გაწევის მომსახურების პირობები

1. ორგანიზაცია, რომელიც გადაწყვეტს შეისყიდოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურიდან (შემდგომში - „სამსახური“) გარკვეული მომსახურების გაწევის მიზნით შესაბამისი ტექნიკური დავალების შექმნის, სისტემური და ბიზნეს პროცესების ანალიზის გაწევის მომსახურება (შემდგომში - „შემსყიდველი ორგანიზაცია“), ვალდებულია შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა წარუდგინოს სამსახურს წერილობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა უნდა იყოს მაქსიმალურად მკაფიო, მასში მაქსიმალური სიზუსტით უნდა იყოს აღწერილი მოთხოვნილი ტექნიკური დავალების შესაბამისი პარამეტრები, სამსახურს უფლება აქვს არაერთხელ დააზუსტებინოს შემსყიდველ ორგანიზაციას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა.



3. შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემსყიდველი ორგანიზაციის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ;

4. სამსახური ვალდებულია შესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ელ.ფოსტის მისამართზე მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შედეგი ინფორმაცია, კერძოდ:

ა) ინფორმაცია მომსახურების საფასურთან (X) დაკავშირებით;

ბ) ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის საჭირო კაც-საათების ოდენობასთან დაკავშირებით;

გ) ინფორმაცია მომსახურების გაწევის პერიოდთან დაკავშირებით.

5. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გაუგზავნოს სამსახურს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მისამართზე ([1551@mof.ge](mailto:1551@mof.ge)) დასტური ან უარი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით.

6. სამსახურს მომსახურების გაწევის ვალდებულება წარმოეშვება ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დასტურის მიღების შემდგომ.

7. მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტი შესაძლებელია გაფორმდეს როგორც მომსახურების გაწევის დასრულების შემდგომ ასევე ყოველთვიურად (ასეთ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს მომსახურების ერთი დღის საფასური, კერძოდ; მომსახურების საფასური X უნდა გაიყოს მომსახურებისათვის საჭირო დღეების სრულ რაოდენობაზე, ამით დადგინდება მომსახურების ერთი დღის საფასური, ხოლო ამის შემდგომ, მომსახურების ერთი დღის საფასური უნდა გამრავლდეს შესაბამის თვეში არსებულ დღეების ოდენობაზე, რითაც მივიღებთ შესაბამისი თვის მომსახურების საფასურს) მომსახურების გაწევის დასრულებიდან ან/და ყოველი მომდევნო თვის დასაწყისიდან - 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მიღება-ჩაბარების აქტი ასევე შესაძლებელია გაფორმდეს ელექტრონულად „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

